

ნაციონალური იდენტობის რეპრეზენტაცია სახელისუფლებო დისკურსში  
(ქართულ, ბრიტანულ და ესპანურ მასალაზე დაყრდნობით)

სოფიკო ჩიტიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა  
და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე ლაფაჩიშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო ჩიტოშვილი

07.07.2020

## აბსტრაქტი

ნაციონალური იდენტობის კვლევა დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურია, როგორც თანამედროვე სოციოლინგვისტიკის, ასევე სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების კუთხით. ამ ცნებას ემყარება ერებისა და სახელმწიფოების იდეა, ამიტომ საინტერესო ხდება მისი კვლევა ინტერდისციპლინურ ჭრილში.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს ქართული, ბრიტანული და ესპანური ნაციონალური იდენტობის ენობრივ-დისკურსულ საკითხებს. ნაშრომში გამოვლენილია სამი ქვეყნის სახელისუფლებო დისკურსში გამოხატული მსგავსი და განსხვავებული ენობრივ-დისკურსული ხერხები, რომელთა მეშვეობითაც ამ ქვეყნების ნაციონალური იდენტობა წარმოჩინდება.

**საკვანძო სიტყვები:** ნაციონალური იდენტობა, ნაციონალიზმი, პოლიტიკური დისკურსი, კრიტიკული დისკურსის ანალიზი, არგუმენტაცია, პრაგმატიკა, ქართული ნაციონალური იდენტობა, ბრიტანული ნაციონალური იდენტობა, ესპანური ნაციონალური იდენტობა.

## **Abstract**

Recently the study of National Identity has become quite prevalent in terms of modern sociolinguistics, as well as social and political sciences. The idea of forming nations and states is based on this notion, hence it is rather interesting to study the subject within an interdisciplinary context.

The following Master's thesis examines the linguistic and discourse issues of Georgian, British and Spanish national identities. The paper identifies both similar and different linguistic/discursive techniques expressed in the state discourse of these three countries, through which the national identity of these countries is manifested.

**Keywords:** National Identity, Nationalism, Political Discourse, Critical Discourse Analysis, Argumentation, Pragmatics, Georgian National Identity, British National Identity, Spanish National Identity..

## მადლობა

ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ სალომე ლაფაჩიშვილს. მიუხედავად პანდემიის პერიოდისა, მასთან კომუნიკაცია ყოველთვის ხელმისაწვდომი, ხოლო უკუკავშირი ყოველთვის დროული იყო. მისმა რეკომენდაციებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ ნაშრომის შემქნაში. ასევე, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს მეგობრებსა და ოჯახის წევრებს გვერდში დგომისთვის.